

ԿԿԿ. 887
9

ՀԱՅՈՒԹՈՒՆ

ՀԱՅՈՒԹՈՒՆ
808-10100035



ՀԱՅՈՒԹՈՒՆ

ՀԱՅՈՒԹՈՒՆ



0. სოფორები

კუსტოდიის ღია ცენტრი

144884
2



გამოშეცემლისა „სამართლის საქართველო“
თარიღი - 1975




14.213 (C. 92.2. 4)

 645.8(C 41)
 615.838(47.922)
 h 767

ერებული (3 ურთიერთ)

ბროშურაში განხილულია კურორტის მოქლე ისტორიუ-
 ლი ცნობები, მოცემულია ფიზიკურ-გეოგრაფიული და კლი-
 მატური დაზიანებები. განმარტებულია პაერის, მზის აბაზ-
 ების და ზღვაში დოზირებული ბანაობის წესები. ჩამოყა-
 ლიბებულია ბავშვთა სანატორიუმ „ტალღაში“ მკურნალო-
 ბის ჩვენებები დ. ჭინააღმდეგჩვენებები. ბროშურის ბოლოს
 მოყვანილია მახლობელი კურორტებისა და ღირსშესანიშნა-
 ვი აღვილების დათვალიერების საეჭსკურსით მარშრუტები.
 ბროშურა განკუთვნილია მკითხველთა დარღვევისა-
 თვის.



50101—159

ც ————— 75

M 601(08) — 75

ც გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1975

კურორტი ლესელიძე მდებარეობს შავიზღვისპირეთის
 ერთ-ერთ ულამაზეს ადგილას, მდინარე ფსოუს ხეობაში; გა-
 გრიდან დაშორებულია 18 კილომეტრით, ხოლო ადლერი-
 დან — 9 კილომეტრით. ოთხი კილომეტრის სიგრძის დაბლო-
 ბი, რომელზედაც დასახელებული კურორტი იმყოფება, წარ-
 მოიშვა მდინარეების ფსოუს, ხოუპისა და ლაბსტას ნალექე-
 ბისაგან. აღმოსავლე ასაზღვრება სოფ. გან-
 თიადი, დასავლეთით — სოფ. ვესიოლოე და მდ. ფსოუ (აფხა-
 ზეთის ასსრ საზღვარი რსფს ჩესპუბლიკასთან მდ. ფსოუ-
 ზე გადის), სამხრეთით — შავი ზღვა, ჩრდილოეთით და
 ჩრდილო-აღმოსავლეთით — მონასტრის ქედის გორაკები,
 რომლებიც აგეფსტის, არაბიერის, ძიხრის, აიბსგის, ახ-აგის
 მაღალ მთის მასივებს უერთდებიან, რომელთა მწვერვალები
 2000—3200 მ აღწევს ზღვის დონიდან. ამ მთების ზოგიერთ
 ხეობას საცალფეხო ბილიკები მიჰყვება, რომლებითაც ლესე-
 ლიძიდან ჩრდილოეთ კავკასიაში შეიძლება გადასვლა.

შემოდგომაზე თვალს ხიბლავს მთების დიდებული სანა-
 ხაობა, როცა მათი ფერდობები, წიწვიანი და ფოთლოვანი
 ხეები ზურმუხტოვან-მწვანე და ოქროსფერ-ყვითელი ფო-
 თლებით დაიფარება, ხოლო გაშიშვლებული მწვერვალები
 თვალისმომჭრელი თეთრი თოვლის ჩაფხუტით შეიმოსება. კი-
 დევ უფრო მშვენიერი სანახავია ამ მთებიდან ხეობები გაზა-

დღეები, როცა თვალწინ იშვიერი
ვაკილების ლამაზი ხალიჩის მომხიბლავი სურა-
ლვის უსაზღვრო სივრცე.

პირეთის ეს ლამაზი კუთხე, სადაც თბილი, ნო-
ტონპიჯული კლიმატი და ნოყიერი ნიადაგია, დიდი
იპყრობდა აღამიანის ყურადღებას და ოდიოგანვე და-
ახლებული იყო. მახლობელ გამოქვაბულებში ნაპოვნი არქე-
ოლოგიური ნივთები მოწმობენ, რომ აქ მრავალრიცხოვანი
პირველყოფილი ტომები სახლობდნენ. არის ცნობები, რომ
ბერძნებმა ჯერ კიდევ ჩვენს ერამდე 500-იან წლებში დაი-
წყეს დასახლება შავი ზღვის სანაპიროზე. ამ პერიოდში და-
არსეს მათ კოლონიები პონტოს (შავი) ზღვის სანაპიროზე —
გაგრაში, ბიჭვინთაში, ლიხნაში, ანაკლიაში, დიოსკურიასა და
სხვა აღგილებში.

ბერძნების შემდეგ რომაელები გაბატონდნენ შავი ზღვის
სანაპიროზე. 1829 წლიდე კი ოსმალეთი ფლობდა შავიზღვის-
პირეთს. ხანგრძლივი ომების შემდეგ აღრიაპოლის ხელშეკრ-
ულების თანახმად იგი რუსეთის იმპერიის ხელში გადავიდა.
1837 წელს რუსეთის ჯარები გამაგრდნენ შავიზღვისპირეთში
სოხუმსა, გაგრასა და ადლერს შორის.

ახლანდელ ლუსელიძეში მეფის რუსეთის დროს უღრანი
ტყეებით დაფარული გაუვალი ჭაობები იყო. აქ ხარობდა
სხვადასხვა ჯიშის ხე: მუხა, იფანი, რცხილა, თელა, ჭადარი,
წაბლი, ხურმა, წყავი, შვინდი, სოჭი, წიფელი, წითელი ხე და
სხვ.

1883 წელს აქ ბალტიისპირეთის მხრიდან გადმოსახლდნენ
უმიწაწყლო ესტონელები (43 კომლი). ისინი სახლდებოდნენ
შემაღლებულ აღგილებში (მახლობელ გორაკებზე), ცდილობ-



დნენ გასცლოდნენ დაბლობებს, საღაც მალარია მძვინვარებ-
ლა. ესტონელებმა თავის დასახლებას უწოდეს სელმა, 1889
წელს ლუთერანულ ეკლესიაში გადმოსახლებულთა ბავშვებია
სათვის გაიხსნა დაწყებითი სკოლა, საღაც ესტონურ და რუ-
სულ ენებზე ასწავლიდნენ. ესტონელები მისდევდნენ მიწათ-
მოქმედებას, მებოსტნეობასა და მესაქონლეობას.



სურ. 1. მდ. ფსოუს ხეობა.

ახალმოსახლეთა ჩამოსვლამდე ამ ადგილებში სახლობდ-
ნენ აფხაზები, ქართველები, სომხები, მოლდაველები და სხვ.
აფხაზეთში გზატკეცილი გაიყვანეს 1891—1892 წლებში.

მანაშედე აქ იყო მხოლოდ საურმე გზა, მიმოსვლის ძირითადი საშუალება — ურემი, რომელშიც ხარ-კამეჩის აბამდნენ.

1902 წ. მიწათმოქმედების მინისტრმა ა. ს. ერმოლოვმა, რომელიც მაშინ შავიზღვისპირეთის დასახლებასა და ათვისებას ხელმძღვანელობდა, აღლერიდან 9 კილომეტრზე გაგრის მიმართულებით (სოფლებს ვესიოლოე და პილენჯოვოს შორის) შეიძინა მამული, რომელსაც მისი სახელი — ერმოლოვი ეწოდა. ძველ მკვიდრთა გაღმოცემით იგი აქ თავისი მამულის და მის გარშემო სოფლების გაშენებას აპირებდა. მომავლისათვის კი განზრახული ჰქონდა პატარა ქალაქის დაარსება, რომლისთვისაც „ნოვგოროდი“ (ახალი ქალაქი) უნდა ეწოდებინა. ქუჩები უკვე დაგეგმილი იყო, მაგრამ ერმოლოვმა ხორცი ვერ შეასხა თავის განზრახვას, რადგან პირველმა მსოფლიო ომმა შეუშალა ხელი.

დიდი სამამულო ომის შემდეგ დაბა ერმოლოვსკს ლესელიდე დაერქვა; სახელმოხვეჭილი ქართველი მხედართმთავრის კონსტანტინე ლესელიძის პატივსაცემად. იგი აქ ხელმძღვანელობდა მთის გადასასვლელების გერმანელ დამპყრობელთაგან დაცვის ოპერაციებს;

კურორტ ლესელიძის აღმოსავლეთით მდებარეობს განთიადი, რომელიც ლესელიძეს შეუერთდა. დასავლეთით განთიადს ესაზღვრება ლესელიძე, აღმოსავლეთით მთის მდინარე, რომელსაც ორი სახელწოდება აქვს — ცანდრიპში და ხაშუპსე (პირველი სახელწოდება აფხაზურია, მეორე — ჩერქეზული), ჩრდილოეთით — მონასტრის ქედის კალთები, სამხრეთით — შავი ზღვა. უძველეს დროს ამ აღგილს აფხაზები ცანდრიპში უწოდებდნენ. იგი მსხვილი დასახლებული პუნქ-

ტი და ჩრდილო-დასავლეთ აფხაზეთის ნავსაღგური იყო. მე-
 ცხრამეტე საუკუნის შუა წლებამდე აქ სახლობდა აფხაზი ტო-
 ბი საძი. ამ სოფელში იყო აფხაზი ფეოდალის ცანპას მამული,
 რომლის სახელი დაერქვა სოფელ ცანდრიპშეს.

1867 წელს აქ დაარსდა პატარა რუსული სოფელი, რომელი
 საც პილენჯოვო ეწოდა (შავი ზღვის ოლქის უფროსის, გენე-
 რალ პილენჯოს სახელი). ძველად VI—VII საუკუნეებში აქ
 რაძარი აუშენებიათ, რომლის ნანგრევები დღემდე შემორჩა.
 შნახველს აოცებს ტაძრის სიღიღე და მისი არქიტექტურული
 გაფორმება.

კურორტ ლესელიძის კლიმატი გაგრის ჭგუფის სხვა კურ-
 ორტების კლიმატის მსგავსია, მაგრამ რამდენადმე განსხვავ-
 დება მისგან, რაც უწინარეს ყოვლისა იმით აისხება, რომ ლე-
 სელიძე მდებარეობს ფართო, ღია დაბლობზე, კურორტი გაგ-
 რა კი მდებარეობს მაღალი მთის ძირში, რომელიც ჩრდილო-
 ეთიდან იცავს მას და ამიტომ დიდ გავლენას ახდენს მის კლი-
 მატზე. ჰაერის საშუალო ტემპერატურა წლის ყოველ დროს
 ლესელიძეში 1—2 გრადუსით უფრო დაბალია, ვიდრე გაგრა-
 ში. ზაფხულში გაცილებით უფრო გრილია, ვიდრე გაგრაში. ზა-
 ფხულში, დღის საათებში აქ სიგრილეს აძლიერებს სამხრეთ-
 დასავლეთის ბრიზები; ისინი უფრო დიდი ძალით ქრიან, ვიდ-
 რე ჩრდილოეთის ქარები ღამით. გაგრაში, პირიქით, ღამით ნა-
 პირიდან მქროლავი ქარები უფრო ძლიერია, ვიდრე ზღვის
 ბორიზები დღისით. ჰაერის საშუალო შეფარდებითი ტენიანო-
 ბა ლესელიძეში უფრო მაღალია, ვიდრე გაგრაში. ლესელი-
 ძეში წელიწადში უფრო მეტი ყინვიანი დღეა და უფრო
 ძლიერი ყინვა იცის, ვიდრე გაგრაში. საშუალო ტემპერატურა
 ზამთარში $6,3^{\circ}$ -ია, გაზაფხულზე — 12° , ზაფხულში — $22,3^{\circ}$

და შემოდგომაზე — 15° , ყველაზე ცივ თვეში — იანვარში სა-
შუალო ტემპერატურა არის $5,5^{\circ}$, ყველაზე თბილ თვეში —
აგვისტოში — $23,4$; ნალექების წლიური რაოდენობა უდრის
1250 მმ-ს, საშუალო ატმოსფერული წნევა — 762.4 მმ-ს, შე-
ფარდებითი სინოტივე — 76 %-ს, ქარის სისწრაფე — $1,5 \text{ მ/წამ-ში}$, მზის ნათების ხანგრძლივობა — 1890 საათს.

გაზაფხული შუა თებერვალში იწყება. თითქმის მთელი ზა-
ფხულის მანძილზე წყნარი, მზიანი დღეებია, ღამეები ზომიე-
რად თბილი და ზომიერად გრილია. შემოდგომა, მიუხედავად
რმისა, რომ ზაფხულის სითბო კლებულობს, საკმაოდ თბილი
და სასიამოვნოა. ზღვაში ბანაობა შეიძლება მაისიდან ნოემ-
ბრამდე.

კურორტ ლესელიძის ძირითად ბუნებრივ სამკურნალო
ფაქტორს წარმოადგენს ზღვის სუფთა ჰაერი და დამზოგველი
ჰავა, მდიდარი ულტრაიისფერი სხივებით.


კურორტ ლესელიძისა და მისი მიღამოების დათვალიერე-
ბისას თვალს ვერ მოსწყვეტთ ყვავილებით, ხეხილითა და დე-
კორაციული ნარგავებით სავსე ბალებს. მთელი კურორტი
უზარმაზარი ბალია, სადაც დედამიწის სხვადასხვა სარტყელისა
და მატერიკის ასობით სხვადასხვა სახეობის მცენარე ხარობს.

მთის ფერდობებზე გაშლილ ტყებში ბევრი ნაღირი ბინად-
რობს; დათვი, მგელი, ტურა, გარეული ღორი, მთის ჭიშვი,
ქურციკი, მელა, კვერნა, ფოცხვერი, კურდლელი და სხვ.

ტყეებში, მთებსა და ველებში უამრავი ფრინველია: არწი-
ვი, შევარდენი, ქორი, ბუ, გარეული მტრედი, გნოლი, სტვენია,
კოდალა, ოფოფი, წიწვანა და სხვ. კლდოვან ადგილებში
გვხვდება მთის ინდაური, სვავი, ტყიან ჭაობებში და ზღვაში —
გცურავი ფრინველები: იხვი, ყანჩა და სხვ.


პატარა ქვეწარმავლებიდან გვხვდება გველი, ანკარა, ხვლიკი და სხვ. არის შხამიანი გველებიც (წითელი გველგესლა).

მდინარეებში ბევრნაირი ოევზია: კალმახი, ტობი, წვერა და სხვ. ქვირითის დასაყრელად ზოგჯერ ზღვიდან შემოღის ორა-გული.



სურ. 2. სანაპირო.

წყალხმელეთა ცხოველებიდან გავრცელებულია: გომბეშო, ტრიტონი, ვასაკა და სხვ.



ଶ୍ରୀ. ଜ. ଲେଖଣିଦୀଙ୍କ ସାନ୍ତେଲନଦୀଙ୍କ ଦାସାସ୍ଵେନ୍ଦ୍ରଦେବୀଙ୍କ ସାଥୀ.

უაღრესად მრავალფეროვანია მწერების სამყარო, მაგრა შემცირდის გამოირჩევა ციცინათელა, ჭიჭინობელა და სხვ.

კურორტ ლესელიძის ტერიტორიაზე ნიადაგის ზედა შრეები უმთავრესად შედგება ხრეშისაგან, ქვიშნარისა და აგრეთვე თიხნარისაგან.


უკანასკნელ წლებში ლესელიძეში გაიშალა სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებათა მშენებლობა.

1954 წლის ნოემბერში ბაუმანის სახელობის დასასვენებელი სახლის ტერიტორიაზე მოეწყო 75-ადგილიანი ბავშვთა სანატორიუმი. 1957 წელს გაგრის ბავშვთა სანატორიუმი შეუერთდა ლესელიძის ბავშვთა სანატორიუმს და გახდა 150-ადგილიანი, რომელსაც უჭირავს ზღვის სანაპირო ზოლი 12 ჰექტარის რაოდენობით. 1959 წელს ბავშვთა სანატორიუმს ეწოდა „ტალღა“, რომელიც მუდმივმოქმედია და ამჟამად რევმოკარდიოლოგიური პროფილითაა. კურორტული მკურნალობის მიზნით, საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკიდან აქ ჩამოდიან ავადმყოფი ბავშვები (7—15 წ.). სანატორიუმი კეთილმოწყობილია.

ბავშვთა სანატორიუმ „ტალღას“ გვერდით მდებარეობს რესპუბლიკური სპორტული ბაზა-პანსიონატი „სპორტი“, რომელიც 1946 წელს დაარსდა. დასაწყისში იგი საქართველოს ფიზკულტურის სამმართველოს ექვემდებარებოდა, ამჟამად კი სპორტულ საზოგადოებათა კავშირის გამგებლობაშია. პანსიონატ „სპორტის“ 15 ჰექტარი ფართობი უკავია.

ბაზას ყველა სახეობის სპორტისათვის აქვს მოედნები. აქ სპორტსმენები ჩამოდიან მომავალი შეჯიბრებებისათვის მოსამზადებლად. უფრო ხშირი სტუმრები არიან საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდები, რომლებიც საერთაშორისო ასპარეზობები-

სათვის ემზადებიან: ფეხბურთელები, ფრენბურთელები, ჯალათბურთელები, ფიჭულტურელები, მოქრივეები და სხვ. გაზაფხულის ოვეებში—მარტსა და აპრილში—აქ ემზადებიან „ა“ კლასის ფეხბურთელთა გუნდები: მოსკოვის და კიევის „დინამო“, ლენინგრადის „ზენიტი“, თბილისის „დინამო“, მოსკოვის „ლოკომოტივი“ და სხვ.



სურ. 4. ლესელიძის ბავშვთა სანატორიუმი „ტალღა“.

სპორტბაზას დიდი პერსპექტივები აქვს. უახლოეს დროში აშენდება ორი დიდი სპორტული კორპუსი, საცურაო აუზები.

განწირახულია სამი ფეხბურთის მოედნისა და სხვადასხვა საზე-ობის სპორტის ღარბაზების მოწყობა.

ლესელიძესა და განთიადში არის რამდენიმე საწარმო და დაწესებულება, ფოსტა და ტელეგრაფი, ადგილობრივი ტე-ლეფონის სადგური. ფოსტა-ტელეგრაფს აქვს საქალაქთაშო-რისო ტელეფონი, რომლის საშუალებით ჩვენი ქვეყნის ყველა პუნქტთან შეიძლება დაკავშირება. ქართული და რუსული სა-შუალო სკოლები, საქართველოს „სამტრესტის“ ღვინის ქარ-ხანა, კონსერვის ქარხანა, სანატორიუმი „უკრაინა“, განთია-ღის საავადმყოფო, თამბაქოს ფაბრიკა, საკოლმეურნეო ბაზა-რი, სანერგე, სადაც სხვადასხვა დეკორატიული ხეებისა და ხე-ხილის ნერგები გამოჰყავთ, ტურბაზა, სადაც განუწყვეტლივ ჩამოდიან ტურისტები ჩვენი ოვალუწვდენელი სამშობლოს ყველა მხრიდან და სხვ.

ლესელიძის მიღამოებში — მონასტრის ქედის განშტოება-თ გორაკებზე, მდინარე ფსოუს ხეობის გასწვრივ მდებარეო-ბენ ესტონელთა და სხვა ახალმოსახლეთა მდიდარი, მწვანეში ჩაფლული საკოლმეურნეო სოფლები: სელმა, ხეივანი, კავკა-სიის განთიადი, სულევო, კულტუბანი და სხვ. დაბლობებში გადაჭიმულია მშენებირი ბაღები, ციტრუსების პლანტაციები და ვენახები, ჩაი, რომელიც დიდ შემოსავალს აძლევს კოლმე-ურნეობებს. სოფლის მეურნეობა უახლოესი ტექნიკით იარაღ-დება. სელმას კოლმეურნეობა აფხაზეთის ასსრ ერთ-ერთი უმ-დიდრესი და მოწინავე კოლმეურნეობაა.

როგორც აღვნიშნეთ, კურორტი ლესელიძე იმყოფება შა-ვი ზღვის სანაპირო ზოლში. ამდენად მიზანშეწონილად ვცა-ნით მკითხველის ყურადღება შეგვეჩერებინა შავი ზღვის გეო-გრაფიულ დახასიათებაზე. შავი ზღვა ბოსფორის სრუტით

უერთდება მარმარილოს ზღვას, ხოლო ქერჩის სრუტით კიბილის აზოვის ზღვას. შავი ზღვა ფორმით ოვალურია. შავი ზღვის უდიდესი მანძილი ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ უდრის 580 კმ-ს, უმცირესი — 265 კმ-ს, ხოლო უდიდესი ღერძი კი არის 1150 კმ. შავი ზღვის ფართი — 413.000 კვ. კილომეტრია. თურქეთის სანაპიროს ახლოს მის ცენტრალურ ნაწილში მაქსიმალური სიღრმეა 2245 მ. შავი ზღვის კავკასიის სანაპირო მთელ სიგრძეზე მთებით და ტყით არის დაფარული. მთების მაქსიმალური სიმაღლე ზღვის დონიდან აღინიშნება სოჭის და გაგრის ზონაში (აგეპსტა — 3261 მ; ჩუგუში — 3240 მ), ისინი მუდმივი თოვლით არის დაფარული. ზღვის წყლის ტემპერატურა ზაფხულობით 25° -ზე მეტია, ხოლო ზამთარში — $6-8^{\circ}$ -ით ცივდება. შავი ზღვის წყლის სიმლაშე ორჯერ უფრო ნაკლებია, ვიდრე ოქეანის წყლის, ხოლო ორჯერ უფრო მეტია აზოვის ზღვის წყლის სიმლაშეზე და $1\frac{1}{2}$ -ჯერ მეტი კასპიის ზღვის წყალზე. შავი ზღვის წყალი შეიცავს ძირითადად მარილებს შემდეგი შემადგენლობით და რაოდენობით (%-ში) (იხ. ცხრილი, გვ. 15).

სხვა ზღვებთან შედარებით შავ ზღვაში უფრო მეტად წარმოდგენილია ნახშირმუავა კალციუმი და ქლორკალიუმი, ხოლო ნაკლებად — გოგირდმუავა კალციუმი. ზღვის წყალს მარილოვან გემოს აძლევს ქლორიანი ნატრიუმი (სუფრის მარილი), მწარე გემოს კი ქლორიანი მაგნიუმი და გოგირდმუავა მაგნიუმი. ზღვის წყალი შეიცავს 46 სხვადასხვა ქიმიურ ნივთიერებას, მათ შორის ოქროს, ვერცხლს, რადონს, რადიუმს და სხვ. ძლიერ მცირე რაოდენობით.

ცნობილი რუსი ქიმიკოსის ი. დ. ზელინსკის მიერ დადგენილია, რომ შავ ზღვაში. გოგირდ-წყალბადის წარმოშობის

შავი ზღვის წყლის ქიმიური შემადგენლობა¹

| კლასონენტები | მგ/ლ | მგ-ეპ/ლ | % მდ. |
|------------------------------|--------------|---------------|--------------|
| ნატრიუმი + კალიუმი | 5392 | 231,00 | 78,6 |
| ჰაგნიტი | 623 | 51,24 | 17,4 |
| კალციუმი | 233 | 11,63 | 4,0 |
| ჯამი | 6248 | 293,87 | 100,0 |
| კლორი | 9390 | 264,90 | 90,1 |
| სულფატი | 1270 | 26,44 | 9,0 |
| ჰიდროკარბონატი | 152 | 2,49 | 0,9 |
| ჯამი | 10812 | 293,83 | 100,0 |
| | 17060 | 587,70 | |

წყარო არის ზღვის სიღრმეში არსებული განსაკუთრებული ბაქტერიები, რომლებიც ბინადრობენ უსანგბადო არეში, ხრწნიან ცხოველების და მცენარეების ორგანიზმებს და წარმოშობენ მარტივ ქიმიურ ნივთიერებებს, რომლებიც განიცდიან ზღვის წყლის მარილების ზემოქმედებას, რის შედეგად წარმოიშობა თავისუფალი გოგირდ-წყალბადი. შავ ზღვაში გოგირდ-წყალბადის შემცველობა 1 ლიტ. წყალში არის 6,5 მგ.

როგორც ზემოაღნიშნული მონაცემებიდან ჩანს, კურორტ ლესელიძის ნოტიო-სუბტროპიკული კლიმატი ბევრად არის დამოკიდებული შავი ზღვის ჰავის მოქმედებაზე.

¹ Г. Г. Джинчарадзе — «Щелочные элементы в минеральных водах Грузинской ССР», канд. дис., 1967 г.

კურორტ ლესელიძის ძირითადი სამკურნალო ფაქტორებზე
არის ჰაერი, მზე და ზღვა.

ჰაერი, როგორც სამკურნალო ფაქტორი, ზემოქმედებს
ადამიანის ორგანიზმზე არა მხოლოდ ტემპერატურით, ტენიან-
ობით, ჰაერის მოძრაობის სიჩქარით და სხვა ფიზიკური თვი-
სებებით, არამედ ქიმიური შემადგენლობითაც. განსაკუთრე-
ბულ როლს თამაშობს ჰაერის მოლეკულარული ნაწილაკები,
რომლებიც დამუხტულია დადებითი და უარყოფითი ელექ-
ტრონებით, ე. წ. აეროიონების სახით.

ზღვის პლაუზე ყველაზე უფრო მოსახერხებელია ჰაერის
აბაზანები ფარდულის ქვეშ, რომელიც წარმოადგენს საუკე-
თესო საშუალებას ორგანიზმის გასაკაუებლად. ჰაერის აბაზა-
ნების მიღების დროს ორგანიზმზე ზემოქმედებს მეტეოროფაქ-
ტორების კომპლექსი: ჰაერის ტემპერატურა და მისი მოძრაო-
ბა, ტენიანობა, ჰაერის იონიზაცია და მზის გაფანტული რა-
ოიაცია. ზღვის სანაპიროს კლიმატური თავისებურებები
მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ორგანიზმზე. ზღვის წყლის
ჟედაპირის სიღიდე უზრუნველყოფს ჰაერის სისუფთავეს და
გამჭვირვალობას, რის გამოც ზღვის პლაუზე მზის რადიაცია
მდიდარია ულტრაიისფერი სხივებით.

ზღვის სანაპიროზე ჰაერი იმყოფება მუდმივ მოძრაობაში,
რომელიც ხორციელდება ზღვის წყლისა და სანაპირო ზედა-
პირის ტემპერატურული სხვაობით. ე. წ. სანაპირო ბრიზები
ხასიათდება გამაგრილებელი მოქმედებით. ჰაერის აბაზანების
მიღების გავლენით ადგილი იქნება ადამიანის ორგანიზმში
ნერვულთოვან სისტემის ტონუსის აწევას, უანგვითი პროცე-
სების სტიმულირებას, მატულობს ძირითადი ცვლა, პარალე-
ლურად ხდება ორგანიზმიდან უვარვისი ნივთიერებების გა-

შოთაწყარის მოყოფა. ჰაერის აბაზანები იწვევენ აგრეთვე საწვრთნეულ გველნას ორგანიზმის გარევანი სუნთქვის ფუნქციებსა და თერმორეგულაციაზე, რაც ხელს უწყობს სხეულის გაკაუებას.

ზღვის ზვირთების მოქმედებისას, წყლის წვეთების მტკრად ჭდევისა და ორთქლების გამო, სანაპირო ჰაერი დიდი რაოდენობით შეიცავს ზღვის წყლის ე.წ. მტკრას. გამტკრიანებული ზღვის მარილების შესუნთქვა კეთილთვისებიანად მოქმედებს სასუნთქი აპარატის ლორწოიანი გარსის უჯრედების ბიოკოლოიდარულ ნივთიერებებზე და აუმჯობესებს სუნთქვით ფუნქციას. გარდა ჩამოთვლილი ფაქტორებისა ორგანიზმები მოქმედებს აგრეთვე ატმოსფერული ელექტრობა. ზღვის სანაპირო ჰაერი შეიცავს დიდი რაოდენობით უარყოფით აეროიონებს, რომელიც საჭიროა აღამიანებისათვის. ზღვის პლაზმები ჰაერის აბაზანის მიღებისას მარილების ნაწილაკები მოქმედებენ რა კანზე, იწვევენ კანის საფარის ნაზ გალიზიანებას, რის შედეგად უმჯობესდება სისხლით მომარავება, ადგილი აქვს უჯრედთა ცხოველმყოფელობას და კანის საფრის დაცვითი ფუნქციების გაძლიერებას.

ჰაერის აბაზანები შეიძლება იყოს საერთო და ნაწილობრივი, რომელიც შეიძლება ჰაერის ეფექტური და რადიაციული (ეფექტური) ტემპერატურების მიხედვით:

| | | |
|------------------|-------------|--------------|
| ა) ცივი ე. ტ. | და რ (ე) ტ. | 8°-ის ქვევით |
| ბ) ზომიერი ცივი | " | 8—12° |
| გ) გრილი | " | 12—19° |
| დ) კონფორტული | " | 19—25° |
| ე) ზომიერი ცხელი | " | 25—28° |
| ვ) ცხელი | " | 28° |

(ეფექტური ტემპერატურის და რაღიაციული (ეფექტური) ტემპერატურის ოღენობანი მოცემულია შიშველი აღამიანისათვის).

ჩვეულებრივად შიშველ აღამიანზე გარემოს ოპტიმალური მოქმედება აღინიშნება, თუ ჰაერის ეფექტური ტემპერატურა მერყეობს $18-22^{\circ}$ -ის ფარგლებში. თუ ეფექტური ტემპერატურა 16° -ის ქვევით ეცემა, იწვევს სხეულის გადაცივებას. ასეთი აბაზანების დანიშვნა გაკაუების მიზნით მიზანშეწონილია პრაქტიკულად ჯანმრთელი კონტიგენტისათვის.

ეფექტური ტემპერატურა $28-30^{\circ}$ -ის ზევით არახელსაყულია, იგი იწვევს ორგანიზმის გადახურებას, აშიტომ სუფთა, ღია ჰაერზე აბაზანის მიღებისას მიზანშეწონილია დავიწყოთ თბილი ანდა ინდიფერენტული ტემპერატურით.

ჰაერის აბაზანის მიღება მიზანშეწონილია ქარისა და მზისაგან დაცულ ადგილებზე, ხის ჩრდილში და დახურულ აივანზე. მაგრამ ჰაერის აბაზანით სისტემატური მკურნალობის დაროს ზღვის პლაჟზე არის მოწყობილი სპეციალური აერარიტუმები. გაუკაუებელ ავადმყოფებს მიზანშეწონილია წინასწარ ჩაუტარდეთ $4-5$ ღლის განმავლობაში ჰაერის აბაზანები ოთახის პირობებში. ჰაერის პროცედურების მიღებისას ორგანიზმი თანდათანობით ეჩვევა ჰაერის მოქმედებას, რის შემდეგ შესაძლებელია ავადმყოფი გადავიყვანოთ ქარისა და მზისაგან დაცულ აივანზე. დასაწყისში ჰაერის პროცედურებს ავადმყოფი ღებულობს მსუბუქ ტანსაცმელში ან ზეწრის ქვეშ, შემდეგ კი ღია ჰაერზე. ჰაერის აბაზანა, როგორც დამოუკიდებელი პროცედურა, მიიღება ავადმყოფის მიერ სანატორიუმში ყოფნის მთელ პერიოდში და ზოგჯერ იგი წარმოადგენს მოსამზადებელ კურსს მზის აბაზანებისათვის.

ჰაერის აბაზანების მიღება უმჯობესია დილისა და საღამოს საათებში. ჰაერის ტემპერატურა უნდა იყოს არანაკლებ 20°-ისა.

პირველი აბაზანის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 10—15 წუთს, შემდეგ კი ეს დრო ყოველი აბაზანის მიღებისას 10 წუთით უნდა გავადიდოთ. ჰაერის აბაზანების მაქსიმალური ხანგრძლივობა დღეში 1,5 საათს არ უნდა აღემატებოდეს. მთელი კურსის განმავლობაში 20—30 პროცეციურის მიღება შეიძლება.

ჰაერის აბაზანების დანიშვნისას აუცილებელია ანგარიში გავუწიოთ ამინდის თავისებურებებს. ცხელ ამინდში ჰაერის აბაზანები უმჯობესია დაინიშნოს დილის საათებში, ხოლო ურილ ამინდში, იგი ინიშნება შედარებით მოგვიანებით 12—13—14 საათებში.

ამგვარად, ჰაერის აბაზანები ადამიანის ორგანიზმზე ზემოქმედებს კანის საშუალებით (ჰაერის ტემპერატურა, ტენიანობა და ჰაერის მოძრაობის სიჩქარე) და ფილტვების გზით (შესუნთქული ჰაერის შემადგენლობა, რომელიც შეიცავს როვორც დადებით, ისე უარყოფით ელექტროობით დატვირთულ იონებს).

ჰაერის აბაზანების მიღება ავადმყოფში პირველ ყოვლისა იწვევს გუნებ-განწყობის გაუმჯობესებას, მატებს ენერგიას, მხნეობასა და სიხალისეს. ზოგჯერ ჰაერის აბაზანა იწვევს ორგანიზმში უარყოფით რეაქციას, რაც გამოიხატება თვითვრდნობის გაუარესებაში. ასეთი რეაქცია არაიშვიათად ვითარდება ჰაერის აბაზანის 1—2 პროცეციურის მიღებისას ტემპერატურული გამაღიზიანებლებისადმი ორგანიზმის ნაკლები ადატაციის გამო. შემდეგ კი დანარჩენი პროცეციურების მიღები-

სას უარყოფითი ორგანიზაციის ქრება ორგანიზმის თერმორეგულაციის მექანიზმების გაძლიერების ხარჯზე.

დაბოლოს, ჰაერის აბაზანების დანიშვნა დიდი სიფრთხის უნდა ხდებოდეს იმ ავაღმყოფებზე, რომლებსაც ჯერ კიდევ არა აქვთ გაკაუებული ორგანიზმი. ჰაერის აბაზანის დანიშვნა კი წინააღმდეგნაჩვენებია ტემპერატურის მომატებისას და განსაკუთრებით სუსტ-დაძაბუნებულ ავაღმყოფებზე.

მზის აბაზანების მიღება გარევეული ღოზით უნდა წარმოებდეს, ჩვეულებრივ, დასაწყისში სხეულის ზედაპირის თითოეულ კვადრატულ სანტიმეტრზე ინიშნება 5 კალორია წუთში, სხეულის წინა და უკანა ზედაპირზე მონაცვლებით. ღოზა ყოველდღიურად 5—10 კალორიით მატულობს და აღწევს 30—40 კალორიამდე. მზის აბაზანები მიღება დილის საათებში — 8 საათიდან 11 საათამდე, არანაკლებ 20—22 და არა უმეტეს 32° ტემპერატურის დროს. მიზანშეწონილია, მზის აბაზანის წინ ჰაერის აბაზანის მიღება. ჭამის შემდეგ მზის აბაზანა ტარდება არა უაღრეს 1—2 საათისა, მთელი კურსია 15—20 პროცეციურა. მზის აბაზანის შემდეგ (შხაპის მიღებამდე) ბავშვმა ჩრდილში 20—30 წუთი უნდა დაისვენოს.

მზის სხივების ზეგავლენით მატულობს კანის დაცვითი და გამომყოფი ფუნქცია. მზის დასხივება ხელს უწყობს მაღის შრმატებას, ძილის გაუმჯობესებას, შრომისუნარიანობის მოგატებას, რაც აისსნება მზის აბაზანების კეთილმოქმედი გავლენით სისხლძარღვებსა და ნერვულ სისტემაზე, მათი მეშვეობით კი ორგანიზმის ენდოკრინულ აპარატზე.

მზის სხივები არა მარტო ხოცავს კანზე მყოფ ბაქტერიებს (ბაქტერიოციდული მოქმედება), არამედ აგრეთვე შლის მათ

მიერ გამომუშავებულ ტოქსინებს. ისინი ამაღლებენ ორგვერზე
მის იმუნოგამძლეობას.

მზის სხივების მიღების შედეგად კანს მზე ეკიდება, რასაც
განაპირობებს განსაკუთრებული პიგმენტის წარმოშობა კანის
ეპითელში. მრავალი ავტორის აზრით მზის მოკიდება ითვლება
დაცვით შეგუებად, რომელიც კანს იცავს დაწვისაგან, რასაც
უეიძლება იდგილი ექნეს მზის სხივების ხანგრძლივად მიღე-
ბის შედეგად. მაგრამ არა სწორი ის შეხედულება, რომლის
მიხედვით მზის აბაზანების გამომწრთობი მოქმედება იმდენად
დიდია, რამდენადაც მეტია მზის მოკიდება. მაგალითად, ცნო-
ბილია, რომ ქერა აღამიანების კანს მზე ცუდად ეკიდება, მაგ-
რამ მათ მიმართ მზის აბაზანების გამომწრთობი მოქმედება
ამით სრულიადაც არ მცირდება. ამიტომ არა საჭირო ვცდი-
ლობდეთ კანზე მზის მოკიდებას მოკლე დროში, მით უმე-
ტეს, რომ ასეთი გაუფრთხილებელი აბაზანები დაკავშირებუ-
ლია კანის საფარვლის დარღვევის საფრთხესთან (დამწვრობა)
და მზის დაკვრასთან.

თუ ავადყოფები თავის ტკივილს, დაღლილობას, ნერვულ
აგზებას და უძილობას უჩივიან, მზის აბაზანების მიღება უნ-
და შევწყვიტოთ.

მზის აბაზანების მიღება წინააღმდეგნაჩვენებია იმ ავად-
ყოფებისათვის, რომელთაც აქვთ ტუბერკულოზის აქტიური
ფორმები, გულის დაავადება, აწეული ნერვული აგზებადო-
ბა, დაღლილობა და სხვა დაავადებანი. ამ შემთხვევაში მზის
აბაზანების მიღებას შეუძლია გამოუსწორებელი ზიანი მია-
ყენოს ჯანმრთელობას.

ზღვა არა მარტო ბუნების მშვენებაა, არამედ ჯანმრთე-
ლობის წყაროც არის. ზღვაში ბანაობის დროს აღამიანის ორ-

განიზმზე დადებითად მოქმედებს ზღვის გრილი წყალი, მასში გახსნილი ქიმიური ნივთიერებები, ზღვის ტალღები და ულტრაიისფერი სხივები, რომელსაც ზღვის წყალი თავისუფლად ატარებს. როგორც ცნობილია, ზღვის წყლის ზვირთების დროს გამოიყოფა მარილოვანი ნაწილაკები, რომლებიც იძლევა ჰაერის გაფერებას და ასეთი ჰაერის შესუნთქვა რესპირატორული აპარატის საშუალებით გავლენას ახდენს მთელ ორგანიზმზე.

სამყურნალო მიზნით ზღვაში ბანაობის დანიშვნა მოითხოვს წინასწარ ავადმყოფის მომზადებას, მით უმეტეს თუ ვიწყებთ კაზაფხულზე. ეს მომზადება უნდა დავიწყოთ ყოველდღიური კანის დაზელვით, რის შემდეგ ვიწყებთ წყლის გადავლებას, წყლის პროცედურის მიღებამდე მიზანშეწონილია მსუბუქი ფიზიკური ვარჯიში.

ზღვის სითბოს მიხედვით ბანაობა დასაშვებია მაისის შუა რიცხვებიდან ოქტომბრის ბოლომდე, ორგანიზმისათვის დიდი დატვირთვის გარეშე. ზღვის წყლის ტემპერატურა ლესლიძეში ხასიათდება მუდმივობით, აქ არ ხდება ზღვის ტემპერატურის მოულოდნელი დაკლება, როგორც ამას ადგილი აქვს ქობულეთში.

გაუკაებელ და სუსტ ავადმყოფებს ზღვაში ბანაობის ნება შეიძლება მივცეთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წყლის ტემპერატურა 20° -ზე მეტია და ირგვლივ მყოფი ჰაერის ტემპერატურა არა ნაკლებ $22-23^{\circ}$.

ზღვაში პირველი ბანაობის ხანგრძლივობა 15—30 წამს არ უნდა იღემატებოდეს ავადმყოფის ჯანმრთელობისა და ასაკის მიხედვით, შემდეგ თანდათანობით ადიდებენ ბანაობის დროს 3—5 წუთიდან 7—8 წუთამდე, ბანაობა ყველაზე კარგია მზის

აბაზანების მიღების შემდეგ, მაგრამ დღეში მხოლოდ ეროვნული ბანაობის მთელი კურსი განისაზღვრება 20—25 პროცეც-რით.

ზღვაში ბანაობისას დაცული უნდა იყოს შემდეგი წესები:

1. ზღვაში ბანაობა არ შეიძლება უზმოზე ან საჭმლის მიღებისთანავე;

2. ოფლიანი ტანით ზღვაში შესვლა არ შეიძლება;

3. თუ ზღვაში ბანაობისას ავადმყოფმა იგრძნო შემცივნება, სწრაფად უნდა გამოვიდეს ნაპირზე და ტანი დაიზილოს;

4. წყალში პასიურად დგომა არ არის მიზანშეწონილი;

5. ზღვიდან გამოსვლის შემდეგ საჭიროა სხეულის სწრაფად შემშრალება, აქტიური მოძრაობა და 15—30 წუთით ჩრდილში მოსვენება.

6. ზღვაში ბანაობის შემდეგ მზის აბაზანის მიღება წინააღმდეგნაჩვენებია.

7. ზღვაში ბანაობა არ შეიძლება თუ ავადმყოფს სიცხე ან კუჭის აშლილობა აქვს.

ივნისში, როდესაც სიგრილეა, მიზანშეწონილია ზღვაში ბანაობა დილით 10-დან 13 საათამდე და ნაშუადღევს 15-დან 16 საათამდე. წლის ცხელ პერიოდში (ივლისი, აგვისტო) ზღვაში ბანაობა რეკომენდებულია დილით 8-დან 10 საათამდე, ანდა სალამოს 17-დან 19 საათამდე, რადგან სხენებულ საათებში ზღვის წყლის და ჰაერის ტემპერატურას შორის მკვეთრი განსხვავება არ აღინიშნება.

ზღვაში დოზირებული ბანაობა დადებითად მოქმედებს პირველ ყოვლისა ცენტრალურ და ვეგეტატიურ ნერვულ სისტემაზე, სისხლის მიმოქცევაზე, სუნთქვისა და ნერვ-კუნთოვან აპარატზე. იგი აუმჯობესებს ორგანიზმის ნივთიერებათა

ცვლის და აძლიერებს კანის ბარიერულ ფუნქციას. ზღვის გრილი წყალი იწვევს სისხლძარღვთა სანათურების შეკუმშვა გაფართოებას, რაც ხელს უწყობს სისხლის ნორმალურ მდონარებას.

ამგვარად, ზღვაში ბანაობა წარმოადგენს მძლავრ გამაკაცებელ საშუალებას.

კურორტ ლესელიძეში ბუნებრივი ფაქტორების გამაკაცებელი და სამკურნალო თვისებები შესწავლილია სამი მიმართულებით: 1. ზღვისპირა ნოტიო, სუბტროპიკული კლიმატური ფაქტორების გავლენა პრაქტიკულად ჯანმრთელ ბავშვის ორგანიზმის გაკაუებაზე; 2. გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებითა (რევმატიული ეტიოლოგია) და ტონწილოკარდიალური სინდრომით შეპყრობილ ბავშვთა კლიმატური მკურნალობა და 3. ბრონქული ასთმით დაავადებულ ბავშვთა კლიმატური მკურნალობა.

სადღეისოდ ბავშვის ორგანიზმის გაკაუება აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს საკურორტო პედიატრიაში, რადგან იგი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამაჯანსაღებელი პროფილაქტიური საშუალებაა. რომ დაგვედგინა ორგანიზმის გაკაუების თავისებურებანი ზღვის კლიმატური ფაქტორების ზემოქმედების მიმართ, ჩვენ შევისწავლეთ ზღვაში ღოზირებული ბანაობის დროს პრაქტიკულად ჯანმრთელი ბავშვის ორგანიზმის გაკაუების ზოგიერთი მაჩვენებელი.

დასახული მიზნის განხორციელებისათვის დაკვირვებები კაწარმოეთ კურორტ ლესელიძის ბავშვთა სანატორიუმ „ტიალაში“ 73 ბავშვზე, მათ შორის გოგონა იყო 39, ხოლო ვაჟი — 34. ასაკის მიხედვით — 9—10 წ. 17, 11—12 წ. 18, 13—14 წ. — 20, 15—16 წ. 18 ბავშვი.

კვლევის დროს გამოყენებული იყო გაცივების (ყოშული 30°), აღრენალინის, ჰისტამინის, მაკ-კლურ-ოლდრიჩის სინგეზი და ულტრაიისფერი სხივებისაღმი კანის მგრძნობელობა; ჰემოლინამიკური ძვრები ისწავლებოდა პულსის და არტერიული წნევის განსაზღვრით.

ბავშვის ორგანიზმის გაკაუების ეფექტურობის შეფასების შიზნით ზემოხსენებული სინგები კეთდებოდა 2-ჯერ 15—20 დღის შუალედით. ადაპტაციის პერიოდის (3—5 დღის) გასვლის შემდეგ ბავშვები ბანაობდნენ ზღვაში დილის 10 საათზე, დღეში 1-ჯერ, 5—10 წუთის ხანგრძლივობით.

ზღვაში ბანაობის დროს ყურადღება მივაჭიერეთ, თუ როგორ იცვლება სხეულის სხვადასხვა უბანზე კანის ტემპერატურა გაკაუებამდე და მის შემდეგ.

კვლევის შედეგად დადგენილია, რომ ბავშვის ორგანიზმის კანის ტემპერატურა სხეულის სხვადასხვა ნაწილში როგორც გაკაუებამდე, ისე გაკაუების შემდეგ საწყის მდგომარეობას ურთნაირი სისწრაფით არ უბრუნდება. როგორც გაცივების სინგმა (ყინულით 30°) გვიჩვენა, ყველაზე სწრაფად კანის ტემპერატურის აღდგენა ხდება ხელის მტევანზე, შემდეგ წინამხარზე, მუცელსა და ტერფზე. ასეთივე თანმიმდევრობაა შემჩნეული ჩვენ მიერ კანის ტემპერატურის აღდგენის სისწრაფის მხრივ ზღვაში ბანაობამდე და მის შემდეგ. საკონტროლო ჯგუფის ბავშვების კანის ტემპერატურის აღდგენა ხდება უფრო დაგვიანებით (2—3 წუთი), ვიდრე გაკაუებულ ბავშვებში. აქედან გამომდინარე, ბავშვის ორგანიზმის გაკაუება იწვევს, პირველ ყოვლისა, ორგანიზმის რეაქტიულობის ნორმალიზებას და მის ადაპტაციას გარემოს დაბალ ტემპერატურისაღმი, რაც მას იცავს სწრაფი გაცივებისაგან, ორგანიზმის გა-

კაუების პროცესში დამცველ-შემგუებელი მექანიზმების შედების შედეგად თანდათანობით ხდება სხეულის როგორც ღია, ისე დახურული ნაწილების კანის ტემპერატურის გაწონასწორება. გაცივების სიხშის მონაცემებით დადგენილია, რომ მუცლისა და ტერფის კანი მეტად მგრძნობიარეა სიცივისადმი, ვიდრე ხელის მტევანი და წინამხარი, რაც მიუთითებს იმაზე, რომ სხეულის დაფარულ ნაწილებს მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ადამიანის ორგანიზმის გაკაუების დროს რეზისტენტობის გაძლიერების მიზნით.

ჯანმრთელ ბავშვთა ვეგეტატიური ნერვული სისტემის ფუნქციური ძვრების შესწავლით დადგენილია, რომ გაკაუების პროცესში ერთდროულად მონაწილეობს როგორც სიმპათიური, ისე პარასიმპათიური ნერვული სისტემა, რომელთა ერთობლივი მოქმედებით ძლიერდება კანის ბარიერული თვისებები, რის შედეგად ქსოვილთა პიდროვილობა და კანის მგრძნობელობა ულტრაიისფერი სხივების მიმართ ქვეითდება.

კურორტ ლესელიძის კლიმატური ფაქტორების სამკურნალო მოქმედება გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებით და ტონზილოკარდიალური სინდრომით შეპყრობილ ბავშვებში დღემდე შესწავლილი არ არის.

კურორტის პირობებში დაკვირვებები ჩატარებულია გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებით და ტონზილოკარდიალური სინდრომით შეპყრობილ სკოლამდელ და სკოლის ასაკის 92 ბავშვზე.

სქესის და ასაკის მიხედვით ჩვენი მასალა ნაწილდება შე- 3 დეგნაირად: გოგონა იყო 58, ვაჟი — 34. მათ შორის სკოლამდელი — 26, სკოლის ასაკის — 66.

ავადმყოფები დანაწილებული იყო სამ კლინიკურ ჯგუფად: I. ენდომიოკარდიტის ნარჩენი მოვლენებით — 35. II. ორკარიანი სარქვლის ნაკლოვანებით — 48, III. ტონზილოკარდიალური სინდრომით — 9.

ენდომიოკარდიტის ნარჩენი მოვლენების შემონა ბავშვები სანატორიუმში შემოსვლისას უჩიოდნენ საერთო სისუსტეს, სწრაფ დალლას, გულის არეში ტკიფილს, გულისცემის გახშირებას, ართრალვისა და სხვ. ორკარიანი სარქვლის ნაკლოვანებით დაავადებულ ბავშვებს ზემოაღნიშნული სიმპტომები კიდევ უფრო მკვეთრად ჰქონდათ გამოხატული. რაც შეეხება ტონზილოკარდიალური სინდრომით დაავადებულ ბავშვებს, ანამნეზური ცნობების მიხედვით აღნიშნებოდათ ხშირი ანგინა, ყლაპვის გაძნელება, სუბფებრილური ტემპერატურა, საკრთო სისუსტე, დალლილობა, დროგამოშვებით გულისცემის გახშირება და ართრალვია.

კურორტზე სანატორიული მკურნალობის ვადა განისაზღვრებოდა 30 დღით, მკურნალობის მეთოდი გამოიხატებოდა შემდეგში: ბავშვები იმყოფებოდნენ აღაპტაციურ რეჟიმზე, რის შემდეგ I და II ჯგუფის ავადმყოფებს (სისხლის მიმოქცევის უკმარისობის I ხარისხის შემთხვევაში) მკურნალობის დასაწყისში ენიშნებოდათ ნახევრად წოლითი რეჟიმი, დანარჩენებს კი დამზოგველი რეჟიმი (№ 1). მკურნალობის შედეგად სისხლის მიმოქცევის მდგომარეობის გაუმჯობესების პარალელურად ეს ავადმყოფები გადაგვყავდა მატონიზირებელ რეჟიმზე (№ 2). III ჯგუფის ავადმყოფებს მკურნალობის დასაწყისში ენიშნებოდათ მატონიზირებელი რეჟიმი (№ 2) და კლინიკური მდგომარეობის გაუმჯობესების შესაბამისად გადაგვყავდა საწვრთნელ რეჟიმზე (№ 3).

კურორტ ლესელიძეში ავადმყოფ ბავშვებს ენიშნებოდთ
კლიმატური მკურნალობა: ჰაერის და მზის გაფანტული რა-
ლიაცია—12—15 აბაზანა (საწყისი დოზა 3—4 კალორია, მაქ-
სიმაღლური დოზა 30—40 კალორია და ზღვაში ბანაობა 12—
15 პროცედურა, 3—10 წუთი). ბავშვები მაქსიმალურად იმ-
ყოფებოდნენ სუფთა ჰაერზე და ღამით ეძინათ ღია ფანჯრე-
ბიან ჰალატებში.

სანატორიულ-კურორტული მკურნალობის შედეგად სამი-
ვე ჯგუფის ბავშვებს აღენიშნათ საერთო სისუსტის გაქრობა,
გუნებ-განწყობის გაუმჯობესება, მაჯისცემის ნორმალიზება,
გულის არეში უსიამოვნო შეგრძნებების და ტკივილის შემცი-
რება, ხოლო ართრალვია უმრავლეს შემთხვევაში გაუქრათ.
ავადმყოფებს საგრძნობლად გაუუმჯობესდათ გულის პერკუ-
ტორულ-აუსკულტაციური მონაცემები. ყველა ჯგუფის ავად-
მყოფს აღენიშნა არტერიული წნევის ნორმალიზება, სისხლის
ნაკადის აჩქარება და გულის წუთმოცულობის მომატება, რაც
განპირობებული უნდა იყოს კურორტ ლესელიძის ნოტიო,
სუბტროპიკული კლიმატის დამზოგველი მოქმედებით.

ამგვარად, კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების გა-
ნალიზების საფუძველზე შეიძლება დადგენილ იქნეს, რომ
შევი ზღვის ნოტიო, სუბტროპიკული (ლესელიძე) კლიმა-
ტით მკურნალობა ნაჩვენებია ენდომიოკარდიტის ნაჩენი
მრვლენებით, ორკარიანი სარქვლის ნაკლოვანებით (H_0 , H_1)
და ტონზილოკარდიალური სინდრომით დაავადებული ბავშვე-
ბისათვის.

უკანასკნელ წლებში საქართველოს კურორტებზე განსაკ-
უთრებული ყურადღება ექცევა ბრონქული ასთმით დაავადე-
ბულთა კლიმატურ მკურნალობას. აქვე უნდა აღვნიშნოთ,

რომ ბავშვთა ასაკში ჯერ კიდევ საფუძვლიანად არ არის შესწავლილი ბრონქული ასთმის კლიმატური მკურნალობა, გან-
თავუთრებით შეუსწავლელია საქართველოს კურორტები. ზე-
მოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ შევისწავლეთ კურორტ
ლესელიძის ნოტიო, სუბტროპიკული კლიმატის გავლენა
ბრონქული ასთმის მიმდინარეობაზე ბავშვებში, რათა დაგვე-
დგინა კლიმატური მკურნალობის ჩვენებები.

ამ მიზნით კურორტის პირობებში, სანატორიუმ „ტალ-
ღის“ ბაზაზე შესწავლილ იყო ბრონქული ასთმით დაავადე-
ბული 52 ბავშვი, 6 წლიდან 15 წლის ჩათვლით. გოგონა იყო
24, ხოლო ვაჟი — 28, სკოლამდელი ასაკის — 6, ხოლო სკო-
ლის — 46 ბავშვი.

ბრონქული ასთმის შეტევების სიხშირის მიხედვით ავა-
დმყოფები განაწილდნენ სამ კლინიკურ ჯგუფად: I — იშვია-
თი შეტევებით, წელიწადში რამდენჯერმე (12) — 18, II —
საშუალო სიხშირის შეტევებით, თვეში რამდენჯერმე (5) — 23,
III — ძლიერ ხშირი შეტევებით — კვირაში რამდენჯერმე —
11 ავადმყოფი.

კურორტზე სანატორიული მკურნალობის ვადა განისაზღ-
რებოდა 30 დღით. სანატორიულ-კურორტული რეჟიმი ავად-
მყოფებს ენიშნებოდათ დაავადების მიმდინარეობის სიმძიმის
შესაბამისად. კლიმატური მკურნალობა ენიშნებოდათ შემდეგ-
ნაირად; ჰაერის და მზის გაფანტული რადიაცია 12—15 აბა-
ზანა (საწყისი დოზა 3—4 კალორია, მაქსიმალური დოზა —
30—40 კალორია); ავადმყოფები მაქსიმალურად იმყოფებოდ-
ნენ ღია, სუფთა ჰაერზე და ღამით ეძინათ ღია ფანჯრებიან
პალატებში. ავადმყოფებს ყოველდღიურად უტარდებოდათ
1 ამკურნალო ფიზკულტურა ინსტრუქციის მიხედვით.

კურორტი ლესელიძის პირობებში ბრონქული ასთმით და-
ვადებული ბავშვების კლიმატური მკურნალობის ეფექტურო-
ბის შესწავლისას გამოვლინდა, რომ ავადმყოფთა მნიშვნელო-
ვან ნაწილში ასთმური შეტევები ხშირდებოდა ან მეორდებო-
და აღრეული სიხშირით და სიმძიმით. ასთმური შდგომარეობა
გაუმწვავდათ იმ ავადმყოფებსაც კი, რომლებიც იმყოფებოდ-
ნენ ავადმყოფობის მყარი რემისის ფაზაში.

ამრიგად, ლესელიძის ნოტიო, სუბტროპიკული ჰავა არ
არის ნაჩვენები ბრონქული ასთმით დაავადებულ ბავშვთა
მკურნალობაში.

კურორტი ლესელიძეში ბავშვთა მკურნალობის ჩვენებები
(სანატორიუმი „ტალღა“):

I. რევმატიზმის აქტიური ფაზა (პროცესის მინიმალური
აქტივობით).

ა) მიოკარდიტი ჩაცხრომის ფაზაში, მწვავე შეტევიდან 5—
6 თვის შემდეგ და ლატენტური მიმდინარეობა.

ბ) ორგარიანი და აორტალური სარქველების ნაკლოვანება
(H_0 H_1).

გ) ქორეა (ჩაცხრომის სტადიაში) მწვავე შეტევის გადატა-
ნიდან 5—6 თვის შემდეგ.

II. რევმატიზმის არააქტიური ფაზა.

ა. ენდომიოკარდიტის ნარჩენი მოვლენები.

ბ. ორგარიანი და აორტალური სარქველების ნაკლოვანება
(H_0 H_1).

გ. ქორეისა და გულის გარეშე დაზიანების ნარჩენი მოვ-
ლენები.

III. გულის თანდაყოლილი (ბოტალის ხვრელი) მანკი.

• თანდაყოლილი მანკის ოპერაციისშემდგომი პერიოდი
 (3—5 თვე),

IV. ტონზილოკარდიალური სინდრომი ყელის სანაციის ჩატარების შემდეგ.

V. ინფექციური არასპეციფიკური (რევმატოიდული) ართ-
 რიტი უპირატესად სახსროვანი ფორმა, სახსრების ფუნქციის
 უკმარისობა 0—1 ხარისხი.

ა. არააქტიური ფაზა.

ბ. პროცესის მინიმალური აქტივობა

წინააღმდეგჩვენებები

I. რევმატიზმის აქტიური ფაზა, ზომიერი და მაქსიმალური
 აქტივობა.

II. გულის კომბინირებული მანკები სტენოზის სიჭარბით,
 სისხლის მიმოქცევის II და III ხარისხის უკმარისობით.

III. თირკმლების, ღვიძლის და სხვა ორგანოთა რევმატი-
 ული დაზიანებანი.

IV. ჩირქოვანი ტონზილიტი.

V. რევმატიზმის არააქტიური ფაზა მწვავე შეტევილან 5—6
 თვემდე.

VI. საერთო უკუჩვენებები, რომლებიც სრულიად გამორი-
 ცხავენ კურორტზე გაგზავნას.

VII. ინფექციური არასპეციფიკური (რევმატოიდული) არ-
 ტრიტის სახსროვან-ვისცერალური ფორმა, ზომიერი და მაქსი-
 მალური აქტივობით სახსრების ფუნქციური უკნარისობის II
 და III ხარისხი.

კურორტ ლესელიძეში დასვენებისას შეგიძლიათ დათვა-

ლიეროთ მახლობელი კურორტები და ღირსშესანიშნავი ადგილები.

გაგრა საქართველოს შავიზღვისპირეთის ერთ-ერთი ულამაზესი კურორტია, იგი ჩაფლულია მარადმწვანე მცენარეებში. აქ ბევრია ეკიპაროზი, გვიპაროზი, ბანანი, ჭადარი და სხვ.

მდინარე უოეკვარას შესართავთან, ზღვის პირას, დღემდე შემორჩენილია ძველი ციხე-სიმაგრის ნანგრევები, რომლის კადლები ხამი ქვით არის ამოყვანილი, ძველად იგი მტრის თავდასხმისაგან იცავდა ამ ადგილებს.

რიწის ტბა მდებარეობს გაგრიდან 55 კილომეტრზე და რკინიგზის სადგურ ბზიფიდან 39 კილომეტრზე. წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს ტურისტებზე ალპური რიწის ტბა და ავადმყრის ტყე. რიწის ტბა უჩვეულოდ ლამაზია.

ბზიფის ხიდიდან 14 კილომეტრზე მდებარეობს ლურჯი ტბა. იგი დიდი არ არის, მაგრამ ღრმაა. ამ ტბიდან გამჭვირვალე სუფთა წყარო გამოდის. ტბის ფართი 180 კვ. მეტრია, სიღრმე — 76 მეტრი.

ბიჭვინთა მდებარეობს შავი ზღვის პირას გაგრიდან 20 კილომეტრზე სოხუმის მიმართულებით, იგი ჩვენი ქვეყნის უძველესი დასახლებული ადგილია.

ბიჭვინთის განთქმული ფიჭვის კორომი დღემდე შემორჩა. იგი არა მარტო ტურისტებს, არამედ მეცნიერების ყურადღებისაც იპყრობს. მას დაახლოებით 200 ჰექტარი ფართობი უკავია.

ბიჭვინთა ჯანსაღი ადგილია. ბევრს, რა თქმა უნდა, სმენია აფხაზეთის შავიზღვისპირეთის ამ მომაჯადოვებელი ადგილის შესახებ. სუბტროპიკულ ბუნებას უხვად დაუჭილდოვებია

რგი. ადამიანმა გადაწყვიტა ჭანმრთელობის კერად გადაწყვიტა ბუნების ეს შესანიშნავი ადგილი. უახლოეს მომავალში ბიჭვინთა ახალი ქალაქ-კურორტი იქნება. ბიჭვინთაში ბევრი ღირსშესანიშნაობაა: ძველი ტაძარი, ციხე-სიმაგრეების ნანგრევები და სხვ.

კურორტი ახალი ათონი მდებარეობს შავი ზღვის პირას სოხუმიდან 18 კილომეტრზე, ჩრდილოეთით. აქ რბილი, სუბტროპიკული ჰავაა. ახალ ათონს თავს დასცერის ორი მთა — ათონისა და ივერის. პირველის სიმაღლე ზღვის დონიდან 500 მეტრია, მეორესი — 150 მეტრი. კურორტი ძლივს მოჩანს ტანწერწეტა პირამიდულ კვიპაროზებში. დამსვენებლებს იზიდავს მარადმწვანე მცენარეულობის სიუხვე, სუფთა ზღვის ჰაერი. საშუალო წლიური ტემპერატურაა $+ 14^{\circ}$. ცივ ოვეებში ტემპერატურა $+ 6^{\circ}$ -ზე ქვემოთ არ ეცემა, ყველაზე ცხელი თვის ტემპერატურა კი $+ 24^{\circ}$ არ აღემატება. ყოფილი მონასტრების შენობებში მოთავსებულია სანატორიუმები. ტურისტებს ვურჩევთ ექსკურსია მოაწყონ ივერიის მთაზე, სადაც ნახავენ ანაკოპის ციხესიმაგრის ნანგრევებს.

სოხუმში, აფხაზეთის ასსრ დედაქალაქში, ტურისტთა და დამსვენებელთა ყურადღებას იპყრობს ქალაშის ორისშესანიშნავი ადგილები: ბოტანიკური ბაღი, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის სამედიცინო-ბიოლოგიური სადგური (მაიმუნების საშენი). და სხვ. დაბოლოს, გვინდა შევჩერდეთ კურორტ ლესელიძის განვითარების გენერალურ გეგმაზე, რომელიც უკვე არსებობს. ამ გეგმის თანახმად მთელი კურორტის ტერიტორია დაყოფილია უბნებად თუ სად უნდა აშენდეს მოზრდილთა და ბაგშვთა სანატორიუმები, სანატორიული ტიპის პიონერთა ბანაკები, დასასვენებელი სახლები,

პანსიონატები, სასტუმრო, ცალკეული ქოტეჭები მომსახურები
შირებისათვის. წყალსადენი, კანალიზაცია, ელექტროსადგური,
პოლიკლინიკები, საავადმყოფო, ფიზიოთერაპიული სტაციო-
ნარი, ფიზიკური კულტურის მოედნები, აეროსოლარიუმები,
პლაჟი, კინოთეატრი, ბიბლიოთეკები, დასასვენებელი პარკები
და სხვ.

ახლო მომავალში ლესელიძე გახდება კეთილმოწყობილი
რესპუბლიკური მნიშვნელობის კურორტი.

რედაქტორი ა. ბერულავა
 მხატვარი ზ. ჩხაიძე
 მხატვრული რედაქტორი ნ. ლაფაჩი
 ტექნიკური რედაქტორი ვ. ჭიჭინაძე
 კორექტორი ც. უვანია
 გამომშვები ლ. იამანიძე

გადაეცა წარმოებას 16/III-75 წ. ხელმოწერილია
 დასაბეჭდად 29/VIII-75 წ. საბეჭდი ქაღალდი № 1.
 ზომა $70 \times 108^1/32$. პირობითი ნაბეჭდი თაბაზი 1.58
 სააღრ.-საგამომცემლო თაბაზი 1.2
 უე 07772. ტირაჟი 5.000, შეკვ. № 549.

ფასი 5 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
 თბილისი, მარჯანიშვილის 5

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამსახურმის
 სტამბა № 4. თბილისი 380060, მედეალაქის II კორპ.
Тбилисская типография № 4. Госкомиздата Совета Министров
Грузинской ССР. Тбилиси 380060. Медгородок II корп.

Чоговадзе Ираклий Ильич

КУРОРТ ЛЕСЕЛИДЗЕ

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»

Тбилиси, Маржданишвили, 5

1975

კარლავანის ეროვნული ბიბლიოთეკი



K 44.887/2